სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

26569882043026

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261468008

რეგისტრაციის თარიღი

16.10.2026 წ

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1
ტელეფონი: 2 29-40-92

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაექვსი წლის თექვსმეტ ოქტომბერს მე, ნოტარიუსს მაია ბრეგვაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ბაზალეთის ქ.1, მომმართა: შპს მარიამ ქორიძე (ს/ნ 406026802)-ს ხელმძღვანელმა მარიამ ქორიძემ. მან განაცხადა, რომ სურს გასცეს მინდობილობა და დაამოწმოს სანოტარო წესით მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მარიამ ქორიძემ (დაბ. 24.10.1978 საქართველო, თბილისი, რეგ. მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, კოტე მაყაშვილის ქუჩა, №10, პირადი №01018003058) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელის ტექსტიც მოიწონა მან და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდაექვსი წლის თექვსმეტ ოქტომბერს მე, შპს მარიამ ქორიძე (ს/ნ 406026802)-ს ხელმძღვანელი მარიამ ქორიძე (დაბ. 24.10.1978 საქართველო, თბილისი, რეგ. მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, კოტე მაყაშვილის ქუჩა, №10, პირადი №01018003058) წინამდებარე მინდობილობით ოთარი ათაბეგაშვილს (დაბ. 19.08.1990 საქართველო, თბილისი, პირადი №01011073611) ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებებს:

წარმოადგინოს ჩემი ინტერესები შპს მარიამ ქორიძე (ს/ნ 406026802)-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ქინძმარაული, №15, საკადასტრო კოდით №01.19.33.013.013, რწმუნებული უფლებამოსილია ჩემი სახელით მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ უწყებებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს, არქიტექტურისა და მშენებლობის სფეროში მოქმედ ადმინისტრაციულ ორგანოებს, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“-ს, შპს სოკარ ჯორჯია გაზს, სააქციო საზოგადოება ენერგო პრო ჯორჯიას და სხვა უფლებამოსილ დაწესებულებებს; შეიტანოს განცხადებები, მოითხოვოს და მიიღოს ცნობები, ამონაწერები, საკადასტრო და ტექნიკური დოკუმენტაცია, გადაწყვეტილებები და სხვა ოფიციალური დოკუმენტები. რწმუნებული უფლებამოსილია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და სანებართვო პროცედურების ფარგლებში წარადგინოს და შეასწოროს პროექტები, ნახაზები და სხვა დოკუმენტები, ხელი მოაწეროს განცხადებებსა და შესაბამის დოკუმენტაციას, მიიღოს გადაწყვეტილებები და პასუხები, გადაიხადოს ადმინისტრაციული მოსაკრებლები და განახორციელოს ამ უფლებამოსილებათა შესრულებისთვის აუცილებელი სხვა მოქმედებები.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მაია ბრეგვაძის სანოტარო არქივში.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მესამე პირზე გადანდობის უფლების გარეშე.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 30.00 (ოცდაათი) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი), თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, პლიუს: 5.00 (ხუთი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოაღნიშნული მთავრობის დადგენილების 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი).

შპს მარიამ ქორიძე (ს/ნ 406026802)-ს ხელმძღვანელი:

მარიამ ქორიძე

ნოტარიუსი:

მაია ბრეგვაძე